საქართველოს მთავრობის

დადგენილება №398

2014 წლის 17 ივნისი

ქ.თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს შექმნის შესახებ

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო.

მუხლი 2

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) ჩაითვალოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 24 ნოემბრის №702 ბრძანებულების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს უფლებამონაცვლედ.

მუხლი 3

სააგენტოს საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი განახორციელოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა.

მუხლი 4

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსმა უზრუნველყოს:

ა) სააგენტოს დებულების დამტკიცება;

ბ) სააგენტოს დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან განთავისუფლება საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით.

მუხლი 5

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**